

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
კ ა ნ ო ნ ი

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილებებისა და
დამატების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში (გაზეთი „აჭარა“ №209-210, 26.10.2004) შეტანილ
იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატება:

1. მე-3 მუხლის „ღ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

2. 28-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიმდინარე ხარჯებს და საშტატო განრიგს,
უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის წარდგინებით დადგენილებით ამტკიცებს
უმაღლესი საარჩევნო კომისია, ხოლო არჩევნების ჩატარებისათვის საჭირო ხარჯებს
უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარდგინებით – უმაღლესი საბჭო.“.

3. 35-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. დაუშვებელია აპარატის შემადგენლობაში ისეთი პირის მიღება, რომელსაც
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ არა აქვს მინიჭებული საარჩევნო
ადმინისტრაციის მოხელის სერთიფიკატი, გარდა დამხმარე და ტექნიკური პერსონალისა.
აგრეთვე იმ სამსახურის მოხელეებისა, რომელთა საქმიანობაც პირდაპირ არ უკავშირდება
საარჩევნო პროცედურებს. ასეთი სამსახურებისა და საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ
მოხელეთა ჩამონათვალს დადგენილებით განსახლვრავს უსკო.“.

4. 64-ე მუხლის:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 64. არჩევნების მეორე ტური. ხელახალი არჩევნები. უმაღლესი საბჭოს
გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლეობის წესი.“.

ბ) მე-5, მე-6 და მე-9 პუნქტები ამოღებულ იქნეს.

5. 83-ე მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 83¹-ე მუხლი:

„მუხლი 83¹. საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის უფლებამოსილების შეწყვეტა

1. ამ კანონის ამოქმედებიდან ამავე კანონის საფუძველზე შექმნილი საოლქო
საარჩევნო კომისიები ჩაითვალოს გაუქმებულად და კომისიის წევრებს შეუწყდეთ
უფლებამოსილება.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ, აჭარის ავტონომიური
რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა
კომიტეტთან და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიასთან
კონსულტაციების საფუძველზე, უმაღლესი საბჭოს 2007 წლის საშემოდგომო სესიაზე
განსახილველად მომზადებული იქნას „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი
საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში შეტანილი
ცვლილებებისა და დამატებების შესახებ კანონის პროექტი.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე

ლევან ვარშალომიძე

ბათუმი,
2007 წლის
№